სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №89.03.18

ქ. თბილისი 19 აპრილი 2018 წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"** (შემდეგ – *„შემსყიდველი"*), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ჯაბა ხმალაძის სახით,

და მეორე მხრივ, **შპს „ტელკო სისტემს"** (შემდგომში – *„მიმწოდებელი"*), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული საქონლის (CPV 32522000 (შემდეგ – „საქონელი") შესყიდვა.

1.2.

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით)	ჯამი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით)
1	მოდული/32 EButton Attendant Console Cisco SPA500 Family Phones/SPA5	1 ცალი	174.7	174.7
				ჯამი: 174.7 ლარი დღგ-ს ჩათვლით

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. *მიმწოდებელი* ვალდებულია გადასცეს *შემსყიდველს* ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია.

2.2. *მიმწოდებელი* უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით მიიღოს საქონლის საფასური.

2.3. *შემსყიდველი* ვალდებულია დროულად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადაიხადოს საქონლის საფასური.

2.4. *შემსყიდველი* უფლებამოსილია მოსთხოვოს *მიმწოდებელს* საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გადაცემა.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. საქონლის გადმოცემისას *მიმწოდებელსა* და *შემსყიდველს* შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც *შემსყიდველის* მხრიდან ხელს მოაწერს, კომპანიის

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სამეურნეო დეპარტამენტის, სასაწყობე და სამეურნეო განყოფილების უფროსი - ალექსანდრე კოპაძე (პირადი №01009011863).

3.3. *შემსყიდველი* უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო *საქონლის* მიღებაზე და მოსთხოვოს *მიმწოდებელს* მიყენებული ზიანის/ზარალის სრულად ანაზღაურება.

3.4 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი.

მუხლი 4. საქონლის ხარისხი

საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ასეთი სახის საქონლისთვის დადგენილ სტანდარტებს.

მუხლი 5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. საქონლის მთლიანი ღირებულება (ხელშეკრულების ფასი) შეადგენს 174.7 (ას სამოცდათოთხმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულების სრული ღირებულება გადახდილ იქნება *მიმწოდებლის* მიერ *შემსყიდველისათვის* საქონლის მიწოდების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, *შემსყიდველის* მიერ *მიმწოდებლის* საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

მუხლი 6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. *მიმწოდებელი* იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს არ გააჩნია რაიმე ნაკლი და/ან დეფექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, *მიმწოდებელი* საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს არსებული ნაკლის და/ან დეფექტის აღმოფხვრას ან აღნიშნული საქონლის შეცვლას.

6.2. *მიმწოდებელი* საკუთარი ხარჯით, უმოკლეს ვადებში, გამოასწორებს მის მიერ გადაცემული საქონლის ნებისმიერ დეფექტს (დეფექტებს), რომლებიც გამოაშკარავდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და რომლებიც გამოწვეული იქნება საწარმოო წუნით ან უხარისხობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. *მიმწოდებლის* მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს *შემსყიდველის* მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.2. *შემსყიდველი* უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატაროს ინსპექტირება, საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

7.3. ინსპექტირებისას გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება *მიმწოდებელს.*

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

8.1. *მიმწოდებლის* მიერ საქონლის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, *შემსყიდველი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

8.2. *შემსყიდველის* მიერ საქონლის ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, *მიმწოდებელი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, *შემსყიდველს* უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება შეიძლება მხოლოდ წერილობითი ფორმით, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით და დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2. ხელშეკრულების ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას და დადგენილი წესით.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

10.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს-მაჟორულ გარემოებებად).

10.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულების ნაწილობრივ და/ან სრული შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

10.3. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

მუხლი 11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ინტერესთა კონფლიქტი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუქნტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და/ან ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“	**შპს „ტელკო სისტემს”**
მის: თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 საიდ. კოდი: 206103722 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE18BG0000000175520100	მის: ქ. თბილის, ნუცუბიძის ქ. №221/ კორპ. 1ა/ ბ.33 საიდ. კოდი: 205203279 საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი” ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა №GE75TB4021536020100006
_____ ზაზა ხმალაძე გენერალური დირექტორი	_____ ირაკლი გულიაშვილი დირექტორი